ჩასვი თანდებულები სწორად:
თან; ვით; კენ; ში; დან; მდე; ზე;

1. დღეს სამსახურში შვიდ საათ ..... ვმუშაობ.
2. მაგიდა ..... იდო ულამაზესი თურქული ლარნაკი.
3. ეს გზა ეკლესიას ..... სრულდება.
4. დღეს პრინცესასა ..... გამოიყურები, უთხრა დედამ ქეთოს.
5. მარიამი წარმოშობით არის გურიი .....
6. ლუკა სახლ ..... წავიდა.
7. ბავშვი სკოლი ..... სახლ ..... ბრუნდებოდა, რომ უცებ წვიმა დაიწყო.
8. "ნუ დადიხარ ღამე მთვარეული ....." უთხრა დედამ შვილს.
9. ცა ..... მზე ამოვიდა.
10. "ვინ დათვალოს ზღვა ..... ქვიშა, და ან ცა ..... ვარსკვლავები"

ჩასვი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები:

ზამთარში მზე თუმცა _____ ქვეყანას, მაგრამ ნაკლებად _____. ცაში მზე ძლიერ ცოტა ხანს _____, გვიან _____, ადრე _____. ჩვენს ქვეყანაში ზამთრობით ზომიერად _____, ხშირად თოვლიც კი არ _____. ამისთანა უთოვლო ზამთარი მოსავალს არ _____. თოვლი მიწაში ყინვას არ _____. ნათესიც უფრო კარგად _____ .

(სიტყვები: **უხდება, ინახება, რჩება, ამოდის, ჩადის, უშვებს, ანათებს, ათბობს, ცივა, მოდის**).

ისრით დააკავშირე შინაარსით მსგავსი სიტყვები:

ცხოვრობს	მოწადინებული
დაღლილი	თავგანწირვით
თავდაუზოგავად	ურიცხვი
მონდომებული	დაქანცული
მრავალრიცხოვანი	ბინადრობს

LIVEWORKSHEETS